

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №46

დ. ლენტეხი.

12.11.2010.წ.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ზოგიერთი საჯარო სკოლების სარეაბილიტაციოდ თანხის გამოყოფის შესახებ

---

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 21 სექტემბრის №1204 განკარგულების საფუძველზე, საჯარო სკოლების რეაბილიტაციისათვის დაფინანსების მიზნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს „საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლენტეხის მუნიციპალიტეტის თვითმმართველ ერთეულს გამოეყო 95,000 (ოთხმოცდათხუთმეტი ათასი) ლარი.

გამომდინარე აქედან ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 21 სექტემბრის №1204 განკარგულებით გამოყოფილი თანხები განაწილდეს შემდეგ სკოლებზე

ა) ნაცულის დაწყ. საჯარო სკოლა – 10677 ლარი.

ბ) მელეს საჯარო სკოლა – 20547,1 ლარი.

გ) ჩიხარეშის საჯარო სკოლა – 5782,1 ლარი.

დ) ფანაგის საჯარო სკოლა – 31519,9 ლარი.

ე) თეკალის საჯარო სკოლა 4415 ლარი.

ვ) ხელედის საჯარო სკოლა 22058,6

2. ნება დაერთოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას შესყიდვები აწარმოოს ერთ პირთან მოლაპარაკებით.

3. განკარგულება აღსასრულებლად გადაეგზავნოს ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგეობას.

4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარე:

/ვ. ქურასბელიანი/